პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 (12212)
პარასკევი, 5 იანვარი 1962 წ.
გამოცემის 42-ე წელი
ფასი 2 კაპ.

## ჩვენს მკითხველებს

# ასე იწერება შვიდწლედის მატიანე




ცხოვრების ნათელი სხივებით, იმედებითა და სიხარულით შემოაბიჯა ახალმა წელმა... [illegible] ...მელმა ადამიანებმა კომუნიზმი რომ უწოდეს.

დიახ, კომუნიზმის ფუძემაგარ ხარაჩოებზე მტკიცედ ამოაბიჯა 1962 წელმა.

და შენ, ჩვენო მკითხველო! ამ ხარაჩოების არა მარტო მოწამე ხარ, არამედ მისი საძირკვლის ჩამყრელიცა და ამშენებელიც, მისი მეარმატურეცა და აგურის მიმწოდებელიც.

შენ იცი, რომ კომუნიზმი ადამიანის ყველა ოცნებაზე უფრო ძვირფასია, მაგრამ იგი თავისთავად არ მობრძანდება, მისი მომგონიცა და მომყვანიც ადამიანია, ის მძლავრი ხელები და ის ნათელი გონებაა, რომელიც ასე ლაღად აამოქმედა, გამოზარდა და გამოაწრთო ჩვენმა დიადმა ეპოქამ.

დღეს 5 იანვარია. ხუთი დღის გახდა ახალი წელი. გადავხედოთ, თვალი გადავავლოთ როგორ აიდგა ფეხი ამ ახალმა გოლიათმა, რა გავაკეთეთ თვითეულმა ჩვენგანმა, როგორ ავუწყეთ ნაბიჯები და გონება ცხოვრების მძლავრ მაჯისცემას... მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიზმის დამკვიდრებას აახლოვებს შენი, თვითეული ჩვენთაგანის ყოველდღიური თავდადებული, შემოქმედებითი შრომა.

გასულ წელს დაიბადა უამრავი სიახლე. სად არ გაინავარდა საბჭოთა ადამიანის აზრმა და გონებამ, რა არ მოიმოქმედა, რა არ გააკეთა, რით არ განაცვიფრა ცა და ხმელეთი...

ახლა ხელთა გვაქვს ყველა ეს ძვირფასი მონაპოვარი და გვმართებს გავაღრმავოთ, გავაფართოოთ, გავაუმჯობესოთ, ჩავაყენოთ იგი ჩვენი დიადი მომავლის სამსახურში.

ჩვენო ძვირფასო მკითხველო! თქვენი ყოველი გარჯა და შრომა სხვისთვისაც გასაგები რომ გახდეს, რომ ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის მუშაობდეს, საჭიროა ერთმანეთს გავუზიაროთ: რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ...

ამიტომ დღეიდან გაზეთი „კომუნისტი" თავის ფურცლებზე ხსნის წიგნს „ასე იწერება შვიდწლედის მატიანე".

ამ წიგნში მოგითხრობთ იმ ადამიანთა და კოლექტივების შესახებ, რომლებსაც თავიანთი გულწრფელი, შემოქმედებითი შრომით ყოველდღიურად მტკიცე აგური მიაქვთ კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად.

ძვირფასო მკითხველო! მოგვწერეთ ასეთ ადამიანებზე, კოლექტივებზე — სოფლად თუ ქალაქად, — მათ შრომით მამაცობაზე. დაე, 1962 წელი დედა იყოს ჩვენი საწარმოებისა და საკოლმეურნეო მინდვრების შუქურ-ვარსკვლავებისა, მათმა სასახელო ამბებმა იმრავლოს ჩვენი გაზეთის წიგნში „ასე იწერება შვიდწლედის მატიანე".

იმრავლოს ხვავმა და ბარაქამ საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე. მეტი ფოლადი და ნაგლინი, ელმავალი და დაზგები, მარგანეცი და ქვანახშირი, ავტომობილი და ქსოვილი, მეტი ჩაი და ყურძენი, სიმინდი და ხილი, აბრეშუმი და მეცხოველეობის პროდუქტები — ასეთია ხალხის სურვილი, ასეთია სამშობლოს პატრიოტული დავალება.

მაშ, ალამაზეთ, აჩუქურთმეთ იგი ყოველდღიურად. აგურს აგური დაამატეთ, დუღაბს-დუღაბი, ფოლადს-ფოლადი და ისე ააშენეთ კომუნიზმის მძლავრი კედელი — კაცობრიობის ყველაზე ნათელი, ყველაზე ბრწყინვალე მომავალი.

# შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

**დ**აბა ქვაისა. ტყვია-თუთიის საბადოს კოლექტივმა სასახელოდ იშრომა 1961 წელს. 11 თვეში გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა და სახელმწიფოს მისცა ათეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამშენებლო მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვით ტყვია-თუთიის საბადოს კოლექტივმა მიიღო ზეგეგმითი მოგება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 106 ათასი მანეთი შეიტანა.

**ა**მიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა შვიდწლედის მესამე წელს ნაყოფიერად იმუშავეს. შარშან ვაგონების დატვირთვის დავალება 173 პროცენტით, ხოლო ვაგონების დაცლისა — 137 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით გადაზიდეს სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ამასთან დაზოგილია დიდძალი ელექტროენერგია და საცხები მასალა.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სავაგონო დეპოს მუშებმა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობის დღეებში მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება.

**ბ**ოლნისი. მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ჯერ კიდევ 7 ნოემბრისათვის შეასრულა. გეგმის ზევით სამშობლომ მიიღო ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ბარიტი.

ბოლნისელმა მაღაროელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. აქ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ეკონომიური მაჩვენებლები და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 10 ათასი მანეთი შეიტანეს.

**ზ**უგდიდი. ავეჯის ფაბრიკამ მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის გეგმა ჯერ კიდევ 10 დეკემბრისათვის 109,7 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 100,1 პროცენტით. მარტო 11 თვეში პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 2,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 24,9 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მუშები მ. კიკალეიშვილი, ი. ივარდავა, დ. პოდლესნი, ი. რიზოევი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 130-140 პროცენტით ასრულებენ.

## შუქურების სკოლები

**საჩხერე.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს ჰყავს თავიანთი შუქურები, მაღალი მოსავლის ოსტატები, გამოჩენილი მეცხოველეები, მწველავები. ასეთები არიან აკაკი წერეთლის მშობლიური სოფლის სხვიტორის მესიმინდე ბრიგადირი ა. ყიფიანი, სოფელ ორღულის კოლმეურნეობის მევენახე მერგოლეური აკ. ჭილლაძე და სოფელ სავანის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი შ. ლაბუჩიძე.

ა. ყიფიანის ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 84 ცენტნერი სიმინდი. მისმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 90 ცენტნერი სიმინდი, პირადად ბრიგადირმა ერთ ჰექტარზე — 120 ცენტნერი.

ორღულელმა მევენახემ აკ. ჭილლაძემ ჰექტარზე გადაანგარიშებით 133 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ხოლო მისმა რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე — 90 ცენტნერი. ა. ჭილლაძე ვალდებულებას კისრულობს წელს ჰექტარზე მიიღოს 140 ცენტნერი ყურძენი, ხოლო რგოლმა ყოველ ჰექტარზე — 100 ცენტნერი.

მეცხოველეთა შუქურა შ. ლაბუჩიძე შვიდ ძროხას უვლის და თვითეულზე მოწველა 2.439 კილოგრამზე მეტი რძე. მისი ვალდებულებაა წელს ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 3.000 კილოგრამი რძე.

ასეთი მაჩვენებლები საჩხერის პირობებისათვის სარეკორდოა. ამიტომ მათი გამოცდილების გავრცელების მიზნით შეიქმნა მოწინავეთა გამოცდილების სკოლები, რომლებსაც ა. ყიფიანი, აკ. ჭილლაძე და შ. ლაბუჩიძე ხელმძღვანელობენ. სკოლებში გაერთიანდა 120 კოლმეურნე. სკოლები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

## გეგმა შესრულებულია

**მესტია.** ენგურის ხე-ტყის სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი — ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა 100,8 პროცენტით გაანაღდა, გამოზიდვისა — 102,8 პროცენტით. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია საწარმოო უბანმა, რომელსაც კომუნისტი გ. ჭკადუა ხელმძღვანელობს: ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმა 168,1 პროცენტით შეასრულა.



სურათზე: თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ამკრეფი ელექტრომწყობი მუშა მარგარიტა ჭამელაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ამ დღეებში მეშახტეთა კულტურის სასახლეში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ საპატიო სიგელები გადასცა ძველი რევოლუციონერების, ინჟინრების, ნოვატორების, ექიმების, მასწავლებლების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების დიდ ჯგუფს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელები გადაეცათ რევოლუციის ვეტერანებს — ა. ქასრაშვილსა და მ. სოფრომაძეს, დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების დიპლომი მიიღეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ნ. კვინიხიძემ, ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის დირექტორმა შ. ჩიკვაიძემ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილემ ვ. მაჩალაძემ და სხვ.

სულ საპატიო სიგელები მიიღო 120 კაცმა.

## ეს დღეები ჩვენს რესპუბლიკაში

## ჯილდო ღირსეულთ

## მეციტრუსეთა გამარჯვება

**ფოთი,** (საკ. კორ.). ვადაზე ადრე წარმატებით დაამთავრა შვიდწლედის მესამე წელი ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ. გადაჭარბებით შეასრულა ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ჩაბარების წლიური გეგმა. მილიონ ასიათასი ცალი ლიმონის ნაცვლად მოიკრიფა მილიონ სამასიათას ხუთასი ცალი ნაყოფი.

ლიმონის უხვი მოსავალი მიიღო პირველმა აგროგანყოფილებამ (აგრონომი გრ. როყვა). გეგმით გათვალისწინებული 814 ათასი ცალის ნაცვლად სახელმწიფოს 980 ათასი ცალი ნაყოფი ჩაბარდა.

**გალი.** (საკ. კორ.). კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ციტრუსების პლანტაციები 325 ჰექტარზეა გაშენებული. კოხორელებს გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 400 ტონა მანდარინი, 110 ტონა ფორთოხალი და 580 ათასი ცალი ლიმონის ნაყოფი.

მეურნეობის (დირექტორი გ. ჩაჩიბაია) კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას რომ გასულ კვირას მან წლიური გეგმის გადამეტებით ათობით ტონა მანდარინი ჩააბარა. უკვე მოკრეფილია და შემფუთავ ქარხანას ჩაბარდა 945 ტონა მანდარინი, 364 ტონა ფორთოხალი, 648 ათასი ცალი ლიმონის ნაყოფი.

## იყალთოს ღვინო

**დამთავრდა** 1961 წელი. იგი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა იყალთოს ღვინის ქარხნისათვის. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები პირნათლად წარსდგნენ ხალხის წინაშე: მომხმარებელს უხვად აწვდიან მაღალხარისხოვან პროდუქტს.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კურდღელაურის ღვინის ქარხანათა მთავარ სამმართველოს (დირექტორი ი. სამადაშვილი). ამის შედეგად ჩვენმა ღვინის ქარხანამ გეგმით გათვალისწინებული 2.200 ტონის ნაცვლად 3.061 ტონა ყურძენი გადაამუშავა.

ეჭვი არ არის, რომ იყალთოს ღვინის ქარხნის სახელოვანი კოლექტივი წელსაც პირნათლად შეასრულებს სამშობლოსა და ხალხის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას.

**გ. მეხრიშვილი,**
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს ღვინის ქარხნის უფროსი მეღვინე.

## ა. ი. მიქოიანი გვინეაში გაემგზავრა

მოსკოვი, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან გვინეაში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი.

ა. ი. მიქოიანი გვინეას ეწვევა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მეგობრულად მიიპატიჟა გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა.

გვინეაში მოგზაურობისას ა. ი. მიქოიანს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილენი ა. ი. ალიხანოვი და დ. დ. დეგტიარი და სხვები.

ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ი. მიქოიანი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა.

## ა. ი. მიქოიანის მომავალი ვიზიტი განაში

განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორ კვამე ნკრუმამ საბჭოთა კავშირში შარშანდელი ვიზიტის დროს სთხოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს ეწვიოს განის რესპუბლიკას.

ა. ი. მიქოიანი დათანხმდა ამ მიწვევაზე და ამჟამად გამოთქვა სურვილი ეწვიოს განის რესპუბლიკას გვინეის რესპუბლიკაში თავისი ვიზიტის შემდეგ.

## მეცნიერთა ხმა

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები, აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკები, მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბნენ აკადემიის საერთო კრებაზე, რათა განეხილათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობის შედეგები, დაესახათ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზები მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

მოხსენებით „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცანები" გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი.

მოხსენება ახალ ამოცანათა შუქზე მეცნიერული კადრების მდგომარეობისა და მომზადების შესახებ გააკეთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. დოლიძემ.

მომხსენებლებმა ილაპარაკეს იმ დიდ ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელსაც საქართველოს სსრ აკადემია ახორციელებს, მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, მეცნიერთა კადრების სწორ მომზადებაზე, მათ რაციონალურ გამოყენებაზე, სკკპ პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებებზე, მეცნიერების განვითარების იმ გზებზე, რომლებიც კომუნისტური პარტიის პროგრამაშია დასახული.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. წერეთელმა, ნ. კეცხოველმა, ი. ტატიშვილმა, ვ. მახალდიანმა, კ. ზავრიევმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ნ. ჯავახიშვილმა, პ. გუგუშვილმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჭავჭანიძემ და სხვებმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, დასახა ამოცანები, რომლებსაც განახორციელებენ საქართველოს მეცნიერები, შეიტანენ რა თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში.

**თბილისის** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1962 წლის 9 იანვარს მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-8 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-4 სესია.**

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში — (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

# ყრილობის გადაწყვეტილებანი — ფართო მასებში!

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტმა პროპაგანდისტთა დასახმარებლად მოაწყო სკკპ XXII ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი საქალაქო თეორიული კონფერენცია.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: დოცენტ ბ. ურუშაძისა — „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანაა", დოცენტ გ. ჩხაიძისა — „მრეწველობის წამყვანი როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში", ლექტორ ვ. შიშინაშვილისა — „ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებელი პირობაა", ლექტორ ა. სულაქველიძისა — „სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესება ჩვენი წინსვლის პირობაა".

**ცხინვალი.** (საკ. კორ.). ხუთ დღეს გრძელდებოდა სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარზე მოსმენილ იქნა ლექცია და მოხსენებები პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხებზე.

სემინარის მონაწილეებს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს პარტიის XXII ყრილობის დელეგატებმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კოზაევმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. გაზაევმა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სემინარზე წაიკითხეს ლექციები სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოსავლიანობის გადიდების, მექანიზაციის ფართოდ დანერგვის და სხვა საკითხებზე.

პარტიული განათლების საოლქო სახლში, სადაც იკითხებოდა ლექციები და მოხსენებები, მოწყობილი იყო პარტიის XXII ყრილობის მასალების გამოფენა, აგრეთვე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში მოპოვებულ წარმატებათა მაჩვენებლები, მოწინავე ადამიანთა პორტრეტები.

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელების საქმეში გარკვეული როლი ეკუთვნის ძირეულ პრესას. როგორ ართმევს თავს ამ საქმეს ძირეული პრესა — ა[ი] საკითხი, რომელსაც მიეძღვნა საქალაქო თათბირ-სემინარი. კედლის გაზეთის რედაქტორებისა და სარედაქციო კოლეგიების წევრებთან ერთად თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტბიუროების მდივნები, პროპაგანდისტები, აგიტატორები. გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქტორმა დ. ტატიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და ძირეული პრესის ამოცანები".

თათბირ-სემინარზე გამოფენილი იყო ქალაქის საუკეთესო კედლის გაზეთები.

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ცხაკაიას რაიკომის პლენუმმა განიხილა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის დაყენების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მ. ქვარცხავა.

რაიონში ფართოდ გაიშალა ყრილობის მასალების პროპაგანდა. პოლიტიკური განათლების სისტემის 160 წრე და სემინარი სწავლობს ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს, 1.000-ზე მეტი აგიტატორი სისტემატურ აგიტაციას ეწევა მშრომელებთან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროპაგანდისტებთან მუშაობა, საგრძნობლად ამაღლდა მათი პოლიტიკური მომზადების დონე და მეთოდური დახელოვნება.

პლენუმმა ამასთანავე აღნიშნა, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებანი. აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ყველაფერი რიგზე არ არის სალექციო მუშაობაში, მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დაყენებაში, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

პლენუმმა განხილულ საკითხზე დასახა სათანადო ღონისძიებანი.



სურათზე: თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საიარაღო ექსპერიმენტალური საამქროს მოწინავე ამწყობი ზეინკლები ს. აკულაშვილი (მარჯვნივ) და მ. ბალდასაროვი, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ანაღდებენ.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# კანდიდატების დასახელება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

**4 იანვარს** ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კანდიდატების დასახელება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და საბჭოების თავმჯდომარეებმა და მდივნებმა, მოსკოვის საწარმოთა პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარეებმა, საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა. პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. კრისტიანინოვმა, რომელიც სხდომაზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარე წელს გაიმართება განსაკუთრებულ ვითარებაში. საბჭოთა ადამიანებს ყველა ფიქრი და აზრი მიპყრობილი აქვთ სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ყრილობის მიერ მიღებული პარტიის ახალი პროგრამისადმი.

ამხ. ვ. ი. კრისტიანინოვმა შეიტანა წინადადება საკავშირო პროფსაბჭოსაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელონ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. გრიშინი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს თავიანთ გამოსვლებში რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ე. ტ. ჩერედნიჩენკომ, სრულიად საკავშირო გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ა. ივანოვმა, პროფკავშირთა ლენინგრადის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ა. სლეპუხინმა, მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. ბიტკოვმა და საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ა. ა. ბულგაკოვმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ერთსულოვნად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკავშირო პროფსაბჭოსაგან დასახელებულ იქნეს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. გრიშინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა, რომელმაც განიხილა საკითხი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის დასახელების შესახებ, ერთსულოვნად დაადგინა კომისიის შემადგენლობაში მოსკოვის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან დასახელებულ იქნას სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. გ. ეგორიჩევი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან დაასახელა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. პავლოვი.

უკრაინის კომუნისტური ორგანიზაციისაგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი გაევროი.

ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ვ. ს. ტოლსტიკოვი.

ფაბრიკა „სოლიდარობის" (ივანოვის ოლქი) მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა ხალხმრავალმა კრებამ ერთსულოვნად დაადგინა დასახელებულ იქნას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად შესანიშნავი მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ი. მ. ვეჩეროვა.

უზბეკეთის სსრ ტაშკენტის ოლქის ჩინაზის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა ერთსულოვნად დაასახელეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სატრაქტორო მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი სოციალისტური შრომის გმირი ამხ. თურსუნოი ახუნოვა. (საკდესი).

# კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პრობლემები

## საუბარი პირველი

**მკითხველო! იცით თუ არა თქვენ, რომ...**
ოც წელიწადში გათვალისწინებულია **ერთი ხუთად** გადიდდეს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი.

ეს თანაბარია იმისა, რომ ჩვენს ნაყოფიერ მიწაზე დამატებით შექმნილიყო კიდევ **ხუთი** სამრეწველო და **ორზე** მეტი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა — ისეთები, როგორიც დღეს საბჭოთა კავშირია.

და ყოველივე ეს ხორციელდება შენთვის, საბჭოთა ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის!

□ □

მას აქეთ, რაც კომუნისტურმა მოძრაობამ შეგნებული ხასიათი მიიღო და პრაქტიკულ-რევოლუციური მნიშვნელობა მოიპოვა, მისი განვითარების ისტორიაში ასეთ კანონზომიერებას ვხედავთ: კომუნიზმის ისტორიული ბედი ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში პროლეტარიატის ბრძოლის სხვადასხვა ფრონტზე წყდება. მაგალითად, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გარიჟრაჟზე კომუნიზმის ბედი წყდებოდა თეორიული ბრძოლის ფრონტზე. იმ ხანად არც ისე მრავალრიცხოვანი კომუნისტების უშუალო ამოცანას შეადგენდა მეცნიერული კომუნიზმის ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება, პროლეტარიატისა და მისი პარტიის ისტორიული მისიის განსაზღვრა,

# დიადი მომავლის დედაბოძი

## პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა

...ქტროტექნოლოგია, ელექტროქიმიური, ელექტროთერმიული პროცესები და სხვ.). ამრიგად, ელექტროენერგია განსაკუთრებული სახის შრომის იარაღი ხდება, მექანიკური იარაღისაგან იმ განსხვავებით, რომ ელექტროენერგია წარმოების მოცემულ მომენტში მთლიანად მოიხმარება და ერთბაშად გადაიტანს თავის ღირებულებას ახლად შექმნილ პროდუქტში. აგრეთვე არ ხდება ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების გათიშვა დროში, მისი წარმოების პროცესი იმავე დროს მოხმარების პროცესიც არის. მესამე, ელექტროფიკაციას ფართოდ იყენებენ ყოფაცხოვრებაში, იგი დიდად ზოგავს საოჯახო მეურნეობაში დახარჯულ შრომას, წარმატებით წყვეტს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას — ათავისუფლებს ქალს საოჯახო მეურნეობაზე მიჯაჭვისაგან და ქმნის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მისი ჩაბმის შესაძლებლობას.

კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი ამოცანების განსაზღვრისას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის გენიალური ფორმულით: — **„კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.**

პარტიის პროგრამით უახლოეს ორ ათწლეულში დასახულია ელექტროენერგიის წარმოების მკვეთრად გადიდება. პირველ ათწლეულში ელექტროენერგიის გამომუშავება უნდა ავიდეს 900-1.200 მილიარდ კილოვატ საათამდე, ხოლო 1980 წლის ბოლოსათვის ჩვენს ქვეყანაში წარმოებული იქნება ელექტროენერგია 3 ტრილიონ კილოვატსაათის რაოდენობით. ეს 1,5-ჯერ აღემატება დღეს მთელ მსოფლიოში არსებულ ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ ენერგიას. ელექტროენერგიის ასეთი დიდი რაოდენობით საწარმოებლად გათვალისწინებულია 20 წლის განმავლობაში 260 დიდი თბოელექტროსადგურისა და 180 მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. გარდა ამისა აიგება 200-ზე მეტი რაიონული ელექტროსადგური 1980 წლის ბოლოსათვის. თბოელექტროსადგურებზე მოვა მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 80 პროცენტი. ფართო გამოყენება ექნება ატომის ენერგიას ელექტროფიკაციაში.

**2.** კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სახალხო მეურნეობაში წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და შემდეგ მათ სულ უფრო სრულ ავტომატიზაციაზე გადასვლა. პირველ ათწლეულში განხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია სახალხო მეურნეობაში და ლიკვიდირებულ იქნება ხელის შრომა როგორც ძირითად, ისე დამხმარე ოპერაციებში. ოცი წლის მანძილზე მასობრივი მასშტაბით ...

...თა განსავითარებლად, ამჟამად საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონის კვალობაზე შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავადიდოთ კაპიტალური დაბანდება წარმოების საშუალებათა წარმოების მეორე სახის საწარმოთა მშენებლობისათვის, რაც დააჩქარებს ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპს.

ამრიგად, იცვლება პროპორცია ამ ორი სახეობის საწარმოთა ზრდის ტემპებს შორის. უახლოესი 20 წლის მანძილზე პირველი სახეობის საწარმოთა პროდუქცია გაიზრდება 6-ჯერ, ხოლო მეორე სახეობისა—13-ჯერ. გარდა ამისა, მძიმე მრეწველობის საწარმოები სულ უფრო მეტს გამოუშვებენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს. ამასთან გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპების მნიშვნელოვანი დაახლოება.

**3.** ქიმიის გამოყენება სახალხო მეურნეობაში, ქიმიური ინდუსტრიის, ატომის ენერგიისა და ენერგიის სხვა წყაროების განვითარება მნიშვნელოვანი საშუალებებია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. 20 წლის განმავლობაში ქიმიური მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება 17-ჯერ. ინტენსიურად გაფართოვდება პოლიმერების ნომენკლატურა. სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების წარმოება გაიზრდება 60-ჯერ, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს გამოშვება—15-ჯერ, მინერალური სასუქების წარმოება—9-10-ჯერ.

ქიმია, როგორც ვხედავთ, შექმნის მეორე ბუნებას, რომელიც იქნება სინთეზური ნედლეულისა და მასალების უშრეტი წყარო ჩვენი მრეწველობისა და მშენებლობისათვის.

უმნიშვნელოვანესი რევოლუციური ცვლილებები მოხდება შრომის საგანში. ზემაღალი წნევის, ტემპერატურისა და სიჩქარის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლითონისა და მასალების სიმკვრივისა და საიმედოობის მკვეთრად გადიდებას. ამისათვის იზრდება ხარისხოვანი ლითონის, ახალ თვისებათა მქონე შენადნობების წარმოება. ელექტრო მრეწველობის განვითარება მოითხოვს მსუბუქი, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების გადიდებას. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მანქანების კონსტრუირების ძირითად მასალად მაინც შავი და ფერადი ლითონი რჩება. 1980 წლისათვის ჩვენი ქვეყანა მიაღწევს 250 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობას. ეს იმაზე მეტი იქნება, რასაც დღეს აწარმოებს დედამიწის ზურგზე არსებული ყველა მეტალურგიული ქარხანა.

...ებით 2 ტრილიონი მანეთის რაოდენობით. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური დანახარჯების ეფექტიანობის გადიდებას, ე. ი. პროდუქციის ერთეულზე კაპიტალური დაბანდების მოცულობის შემცირებას, ...




...მნიშვნელოვნად გაიზრდება არასაწარმოო ხაზით, საბინაო მშენებლობასა და სხვა კულტურულ ღონისძიებათა დიდი მასშტაბით განკავშირებით მიმდინარე ოცწლეულში.

...ლი მშენებლობის პერიოდში ხორციელდება წარმოების სრულყოფა და მათი კომუნისტური წარმოებად გადაქცევის პროცესი. ამ პროცესის ...შნებია: ახალი ტექნიკა, წარმოების ორგანიზაციის მაღალი კლასი, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია ...




...შედგება ორი სახეობის საწარმოებისაგან: პირველი, წარმოების საშუალებათა წარმოება, რომელიც ამზადებს წარმოების საშუალებებს „ა“ ჯგუფისათვის, და მეორე, წარმოების საშუალებათა წარმოება, რომელიც ამზადებს საშუალებებს „ბ“ ჯგუფისათვის. თუ კი სსრ კავშირში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეროვება უმთავრესად წარგვემართა წარმოების საშუალებათა წარმოების პირველი სახეობის საწარმო-

...პარტიის პროგრამა გვასწავლის: საზოგადოების ინტერესებისათვის ყველაზე დიდი შედეგების მიღწევა ყველაზე ნაკლები დანახარჯებით — ასეთია სამეურნეო მშენებლობის აუცილებელი კანონი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს უდიდესი სახსრების გაღებას. 20 წლისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდება ნავარაუდევია დაახლო-

...მარტო წარმოების მოცულობით, არამედ ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის რაოდენობის მხრივაც; მეორე ათწლეულში კი შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება.

**დოცენტი რ. წულუკიძე.**

---

### შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მხარს უჭერენ ვარდისუბნელთა თაოსნობას

# აი, რას ასირებენ კოდელები

ჩვენ, კოდის კოლმეურნეობის მშრომელნი, დიდი ინტერესით გავეცანით ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გორკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიმართვას საქართველოს სსრ სოფლის ყველა მშრომელისადმი. შესანიშნავი თაოსნობაა, ამხანაგო ვარდისუბნელებო!

მართლაც რომ დიდებულ დროში ...

გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 25 ცენტნერი სიმინდი. ცხადია, ეს არცთუ საამაყო მაჩვენებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ნიადაგები ურწყავ ზონაშია, ასეთი მოსავლის მიღება წარმატებად უნდა ჩაგვეთვალოს. გადაჭარბებით შევასრულეთ ხორბლის, ხილისა და ყურძნის საშუალო მოსავლიანობის გეგმებიც. წარმატებები ...

1. კოლმეურნეობის შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები შევასრულოთ ორი წლით ადრე, 1963 წლისათვის.

2. ახალი ტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ 50 ცენტნერამდე, ხორბლისა — 20 ცენტნერამდე, საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ 2.200 კილოგრამი რძე.

სოფლის ტერიტორიაზე ფეხი მოიკიდა საწარმოებმაც. მათგან აღსანიშნავია აგურისა და გაჯის საწარმოები.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენს მოთხოვნილებებს მაინც ვერ აკმაყოფილებს. კურსი ისე გვაქვს აღებული, რომ უმოკლეს ვადაში გადავაქციოთ ჩვენი სოფელი ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად.

ის რომ ახე მოხდეს, ჩვენც, როგორც ...უბნელებმა, მიზნად დავისახეთ:

... წლიდან უფასო გავხადოთ წისქ... აბანოთი, საბავშვო ბაგებითა და ..., რადიოთი და სინათლით სარგე...

... წლისათვის ავაშენოთ საშუალო ...ისა და სააავადმყოფოების შენობ...სთან ერთი საბავშვო ბაგა და ერ...ავშვო ბაღი. სოფელ მარაბდაში ...ნოთ სასმელი წყალი. მთელ ტე...იაზე მოვაასფალტოთ ან მოვკირ... გზები და ქუჩები.

...ათი წლის მანძილზე დავრგოთ და გავახაროთ 50.000 ძირი მცენარე.

კოლმეურნეობის ახალგაზრდობის ძალებით გავაშენოთ კულტურისა და დასვენების პარკი. კეთილმოწყობილი გავხადოთ ფეხბურთის სტადიონი და სხვა სპორტული მოედნები.

ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ დაუღალავი და შემოქმედებითი შრომით შევძლებთ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანას.

**თეთრი წყაროს რაიონის კოდის კოლმეურნეთა დავალებით:**

ი. დალაქიშვილი — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ს. ბალდასაროვი — პარტორგანიზაციის მდივანი, შ. მარქაროვი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ა. მიქირტუმაშვილი, ნ. ახალმოსულიშვილი, დ. რამაზოვი, გ. კახნიაშვილი — ბრიგადირები, დ. დემეტრაშვილი, დ. ჯავახიშვილი, ბ. ავროზაშვილი — კოლმეურნეები.

## წერილები კარგ ადამიანებზე

# გმირის საფლავზე ყვავილი არ ჭკნება...

[illegible]

მტერი უკუგდებულ იქნა, მაგრამ ამ ფიცხელ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა მამაცი მეთაური ა. ბიბილაშვილი. ამ ბრძოლის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებუ-

[illegible] რის გმირი, გვარდიის კაპიტანი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ბიბილაშვილი. 1916-1944 წ."

1961 წლის ოქტომბერში შესრულდა ქ. ტაურაგის განთავისუფლებისა და ა. ბიბილაშვილის გმირულად დაღუპვის 17 წელი. პარტიის ტაურაგის რაიკომმა და აღმასკომმა ფართოდ აღნიშნეს ეს თარიღი. მათ არ დაივიწყეს ქართველი გმირის ოჯახიც და ა. ბიბილაშვილის ძეგლის გახსნაზე მიიწვიეს გმირის მეუღლე — თინა კალისტრატეს ასული, შვილები —აზა და ცისანა ბიბილაშვილები.

მათ ახლდათ ზესტაფონის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი გ. კვეტენაძე.

ა. ბიბილაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის მდივანი ე. სკიდენსკი, ა. ბიბილაშვილის ბრძოლებისა და გმირულად დაღუპვის მოწმე ამხ. პოციუსი. მოეწყო პიონერთა რაიონული შეკრება.—გმირის საფლავზე არასოდეს არ დავაჭკნობთ ყვავილებს, — აცხადებდნენ პიონერები. ა. ბიბილაშვილის სახელი მიაკუთვნეს სკოლის პიონერულ რაზმეულს.

პ. ჭიოკაძე.

* * *



სურათზე: ა. ბიბილაშვილი.

# მეგობრული შეხვედრები

## ინდონეზიისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა წარმომადგენლების ერთობლივი განცხადება

[illegible]

... საქმიანი საკვებით სამართლიანი და კანონიერია.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ მთელი მსოფლიოს პროფკავშირებმა და მშრომელებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალები კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის [illegible]

## გ. ტიტოვი ჯაკარტაში

[illegible]

... სათვის, რომ იგი დათანხმდა სწვეოდა ინდონეზიას.

თქვენი უშიშარი გაფრენით თქვენ მონადირეთ ჩვენი ახალგაზრდობისა და მთელი ინდონეზიელი ხალხის გული, თქვა პრეზიდენტმა. ყველა ინდონეზიელს სურს თქვენი ნახვა, და მე იმდენი თხოვნა მივიღე სხვადასხვა ქალაქიდან და ორგანიზაციიდან, რომ თქვენი ვიზიტი დაუსრულებლად გაჭიანურდებოდა, რომ მოგესურვებინათ ყველა ამ თხოვნის შესრულება.

სუკარნომ დაწვრილებით გამოკითხა გერმანე ტიტოვს კოსმოსური ფრენის პირობების შესახებ.

გ. ს. ტიტოვმა პრეზიდენტს აჩუქა თავისი წიგნი „შვიდასი ათასი კილომეტრი კოსმოსში" და ი. ა. გაგარინის წიგნი „კოსმოსის გზა", აგრეთვე წიგნი „მშვიდობის დღე", რომელიც ამას წინათ გამოვიდა სსრ კავშირში, და საბჭოთა თანამგზავრის მაკეტი. პრეზიდენტმა სუკარნომ მადლობა გადაუხადა ტიტოვს საჩუქრებისათვის, მოიკითხა ი. ა. გაგარინის ჯანმრთელობა და სთხოვა გადასცეს მას სალამი.

ჯაკარტა, 3 იანვარი. (საკდესი). ჯაკარტის საზოგადოებრიობა გულითადად შეხვდა კოსმოსის გმირს გერმანე ტიტოვს. აეროდრომზე მის პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. საბჭოთა კოსმონავტს გულთბილად მიესალმნენ განათლებისა და კულტურის მინისტრი პრიიონო, დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილე, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე აიდიტი, მუნიციპალიტეტისა და ინდონეზია-სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ხელმძღვანელები, სოციალისტური ქვეყნებისა და კუბის რესპუბლიკის ელჩები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ინდონეზიელმა ქალიშვილებმა წითელი და თეთრი ყვავილების გირლანდები ჩამოაცვეს გ. ტიტოვს. გაისმის შეძახილები გმირის პატივსაცემად, ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად.

აეროპორტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გ. ტიტოვმა მადლობა უძღვნა პრეზიდენტ სუკარნოს ინდონეზიაში მიწვევისათვის, მიულოცა ინდონეზიის მთელ ხალხს ახალი წელი, გადასცა მას მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე სალამი.

ჩვენი ხალხი, თქვა კოსმონავტმა, ახლა ცხოვრობს სკკპ XXII ყრილობის ლოზუნგებით, რომ განახორციელოს ყრილობის მიერ დასახული დიდებული პროგრამა, საბჭოთა ხალხს ესაჭიროება მშვიდობა. იმედს გამოვთქვამ, რომ ინდონეზიელი და საბჭოთა ხალხები ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოლებენ მარადიული და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის. მეტად მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს.

## გერმანე ტიტოვი მიიწვიეს ბირმაში

რანგუნი, 3 იანვარი. (საკდესი). ბირმის მთავრობამ სთხოვა საბჭოთა კოსმონავტს გერმანე ტიტოვს ეწვიოს ბირმას ინდონეზიაში მოგზაურობის შემდეგ.

ჯაკარტაში მიმავალი საბჭოთა კოსმონავტი რანგუნში გაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო — დილის 3 საათი, ასობით რანგუნელი მიესალმა აეროდრომზე კოსმოსის გმირს.

## მშვიდობიანი თანაარსებობა

სოფია, 3 იანვარი. (საკდესი). „მშვიდობიანი თანაარსებობა ობიექტური აუცილებლობაა" — ასეთი სათაურით დაბეჭდა დღეს გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ" ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ჰანს ტირინგის კითხვებზე. საბჭოთა მთავრობის მეთაურის პასუხი ავსტრიელი პროფესორის კითხვებზე დაბეჭდეს სხვა გაზეთებმაც. „ტრუდი" სათაურად ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: „ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ სავსებით და საბოლოოდ გაიმარჯვებს კომუნიზმი".

გაზეთი გამოჰყოფს აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის იმ ადგილს, სადაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე განმარტავს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას — მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ამ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ჩვენი სახელმწიფოს არსი, რომელშიც არ არიან კლასები და საზოგადოებრივი ჯგუფები, დაინტერესებული რომ იყვნენ ომით, სხვის სიმდიდრეთა მიტაცებით, სხვა ხალხების დამონებით.

## ინტერესი იზრდება სსრ კავშირისადმი

რომი, 3 იანვარი. (საკდესი). „იტალია-სსრ კავშირის" საზოგადოება, რომელმაც შარშან დაარსების 15 წლისთავი აღნიშნა, ენერგიულ კამპანიას ეწევა კულტურული თანამშრომლობის განვითარებისა და ვაჭრობის გაფართოებისათვის იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პაოლო ალატრიმ.

1961 წელს, რომელიც გაგარინისა და ტიტოვის წელი იყო, ძლიერ გაიზარდა იტალიის საზოგადოებრიობის ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი, აღნიშნა პ. ალატრიმ. საზოგადოება ისწრაფვის დააკმაყოფილოს იტალიის მოქალაქეთა ეს ინტერესი, აწყობს გამოფენებსა და ლექციებს საბჭოთა კავშირის შესახებ, აცნობს იტალიელებს სსრ კავშირის მშრომელთა ცხოვრებას. საზოგადოების გენერალურმა მდივანმა გამოთქვა „მხურვალე და გულწრფელი სურვილი, რომ 1962 წელი საბჭოთა ხალხისა და იტალიელი ხალხისათვის იყოს კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცების წელი, საბჭოთა ხალხის დიდი მიღწევების წელი იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, მშვიდობის წელი დედამიწის ყველა ხალხისათვის".

# კუბის რევოლუცია ძლევამოსილად განვითარდება

## ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 3 იანვარი. (საკდესი). კუბის რევოლუციის მესამე წლისთავის ზეიმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის რევოლუციამ გაიმარჯვა და კვლავაც მოიპოვებს გამარჯვებებს, რადგანაც მისი შემოქმედი არიან არა პარაზიტები, არამედ ნამდვილი მებრძოლები— მშრომელნი, რადგანაც რევოლუცია არა ადამიანთა ჯგუფის, არამედ მთელი ხალხის საქმეა. ალტაცება, რომელიც კუბის რევოლუციამ გამოიწვია მსოფლიოს ყველა ხალხში, თქვა მან, ძლიერდება მთელ რიგ გარემოებათა გამო, მათ შორის იმით, რომ კუბა მხოლოდ 90 მილზეა იმპერიალისტური მეზობლისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების გამგებელი მონოპოლისტები, განაგრძო კასტრომ, იბრძვიან რეაქციის შენარჩუნებისათვის მთელ მსოფლიოში, კოლონიზატორთა ინტერესებისათვის. როლი, რომელსაც ამჟამად ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატები — სამარცხვინო, დანაშაულებრივი და საძულველი როლია. და ხალხებს ყოველდღე სულ უფრო უკეთ ესმით ეს.

ჩვენ, თქვა შემდეგ კასტრომ, ეს-ეს არის ვნახეთ ჩვენი მებრძოლი ნაწილების პარადი. ხალხმა იცის, რომ ეს იარაღი იცავს მის მომავალს: რაკი ეს იარაღი აქვს, ხალხი მტკიცედ გრძნობს, რადგანაც იცის, რომ მას ყველაფერი მოეპოვება მტრის დასამარცხებლად.

კასტრომ ამხილა ამერიკის იმპერიალიზმის მანევრი, რომელიც თავისი ლათინურ-ამერიკელი დამქაშების დახმარებით გეგმავს კუბისსაწინააღმდეგო ბინძური კამპანიის მოწყობას იმ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში შედიან. კასტრომ განაცხადა: სწორედ იმ დღეს, 22 იანვარს, ჩვენ მოვიწვევთ ამ მოედანზე კუბის ხალხის მეორე გენერალურ ასამბლეას და გამოვაცხადებთ ჰავანის მეორე დეკლარაციას, ვუჩვენებთ იმპერიალიზმს, რომ მზად ვართ საბრძოლველად, ვუჩვენებთ იმპერიალისტ მარიონეტებს, თუ როგორია რევოლუციური, თავისუფალი, გმირი ხალხი!

ჩვენ, განაგრძო კასტრომ, კვლავაც შევასრულებთ ჩვენს ამოცანას. ჩვენ საკმარისზე მეტი საფუძველი გვაქვს ვიგრძნოთ თავი ოპტიმისტებად. განვლილ სამ წელიწადში მოპოვებულია დიდი წარმატებები. შარშან დავძლიეთ უწიგნურობა. ახლა წავალთ წინ კულტურის მაქსიმალური განვითარების გზით.

ახალ წელს ჩვენ დაგეგმვის წელი ვუწოდეთ, თქვა შემდეგ კასტრომ. ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი ეკონომიკის გეგმიანი განვითარება. ეს ნიშნავს, რომ წინსვლა უფრო სწრაფი, უფრო მტკიცე იქნება, რომ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს რესურსებს, ხოლო ჩვენი შეცდომები მინიმალური იქნება. ეს რევოლუციის უდიდესი გამარჯვებაა.

განვლილმა სამმა წელიწადმა ბევრი რამ გვასწავლა. ამ წლებმა ცხადყვეს, რომ ხალხს შეუძლია განახორციელოს ყველაფერი, რომ მას შესწევს უნარი გადალახოს ყოველი დაბრკოლება, წინააღუდგეს ძლიერ მტრებს, გაიღოს ყოველი მსხვერპლი.

მიმდინარე წელს, განაცხადა დასასრულ კასტრომ, ჩვენს წინაშე დასახულია სამი ძირითადი ამოცანა: სამშობლოს დაცვა, რევოლუციური შეგნების ამაღლება, ეკონომიკის განვითარება.

ჩვენ, კუბელები, შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, სიმპათიითა და სოლიდარობით ვუპასუხებთ სხვა ხალხთა სიმპათიასა და სოლიდარობას. კუბის რევოლუცია ძლევამოსილად დამთავრდება!

## ტელეგრაფი გვატყობინებს

△ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბირმის კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით რუმინეთისა და ბირმის მთავრობებმა გადაწყვიტეს საელჩოებად გარდაქმნან თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობანი შესაბამისად რანგუნსა და ბუქარესტში.

△ საფრანგეთის დემოკრატები სოლიდარობას უცხადებენ ალჟირელ ლტოლვილებს, რომლებმაც ტუნისსა და მაროკოში შეაფარეს თავი ალჟირის კოლონიური ომის საშინელებისაგან. სახალხო დახმარების საზოგადოების ინიციატივით საფრანგეთში მიმდინარეობს სახსრების შეგროვება ალჟირელი ლტოლვილებისათვის დახმარების გასაწევად. მარტო ზღვისპირა სენის დეპარტამენტში შეგროვებულია 3 მილიონი ძველი ფრანკის მედიკამენტები.

△ მაროკოდან ტუნისში ჩავიდა სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობთა ჯგუფი. საბჭოთა მსახიობები გამოვლენ ტუნისსა და სფაქსში. პროგრამაშია ფრაგმენტები რუსი, საბჭოთა და უცხოელი კომპოზიტორების ბალეტებიდან.

△ დღითი-დღე ძლიერდება იმ ალჟირელთა დეზერტირობა, რომლებიც საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებსა და გასამხედროებულ ორგანიზაციებში მსახურობენ. 24 დეკემბრიდან 1 იანვრამდე ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე გადავიდა 54 კაცი. გადასულებმა თან წაიღეს სხვადასხვა იარაღი და 6000-ზე მეტი ვაზნა.

△ მაინის ფრანკფურტის ერთ-ერთ ქუჩაში 1 იანვარს წაიჩხუბნენ ამერიკელი ჯარისკაცები და გერმანული ტაქსის შოფრები. ამერიკელი ჯარისკაცები ავტომანქანით დაედევნენ ტაქსს, გააჩერეს იგი და დაემუქრნენ შოფერს. შოფერმა რადიოკავშირით მისცა განგაშის სიგნალი და მის დასახმარებლად მოვიდა 25 ტაქსი. დაიწყო ჩხუბი, რომლის შედეგად ერთი ტაქსის შოფერი დაიჭრა. ერთი ამერიკელი ჯარისკაციც დაჭრილია. (საკდესი).

# ინდონეზიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმი

ჯაკარტა, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო იუწყება ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმმა, რომელიც 30 და 31 დეკემბერს მიმდინარეობდა, სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის აიდიტის მოხსენება პლენუმისადმი. პლენუმმა აგრეთვე მიიღო ცალკე რეზოლუცია, რომელშიც მოიწონა და მაღალი შეფასება მისცა ინდონეზიის კომპარტიის დელეგაციის საქმიანობას სკკპ XXII ყრილობაზე და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 15 დეკემბრის რეზოლუცია ინდონეზიის კომპარტიის დელეგაციის მუშაობის შესახებ სკკპ ყრილობაზე.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოაწყოს ინდონეზიის კომპარტიის VII საგანგებო ყრილობა ჯაკარტაში მიმდინარე წლის აპრილის დამლევს. ყრილობის დღის წესრიგია: 1. ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო მოხსენება, 2. იმის უზრუნველყოფა, რომ ინდონეზიის კომპარტიის წესდება შეესაბამებოდეს პრეზიდენტის 1959 წლის № 7 და 1960 წლის № 13 დადგენილებებს (ეს დადგენილებანი შეიცავენ პირობებს, რომელთა მიხედვით მთავრობა ცნობს პარტიას. —საკდესის კორესპონდენტის შენიშვნა). 3. იმის უზრუნველყოფა, რომ პარტიის პროგრამა შეესაბამებოდეს ამ დადგენილებებს.

ამასთან დაკავშირებით პლენუმმა დაამტკიცა წინადადებათა პროექტი წესდებასა და პროგრამაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვს მშრომელთა სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას, და მთელი რიგი რეზოლუციები საერთაშორისო საკითხებზე: სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსის მდგომარეობის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც კანონგარეშე აყენებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტებს და სხვ.

## საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

# საბჭოთა კოსმონავტს ტაშს უკრავს ინდონეზიელი ხალხი

## ამერიკა აძლიერებს შეიარაღებულ ძალებს

ვაშინგტონი, 4 იანვარი, (საკდესი). პრეზიდენტმა კენედიმ, რომელიც ამჟამად პალმ ბიჩში (ფლორიდის შტატი) იმყოფება, გასცა ბრძანება ორი ახალი საარმიო დივიზიის ჩამოყალიბების შესახებ.

ერთი მათგანია ჯავშანსატანკო დივიზია ექვსი მექანიზებული და ოთხი სატანკო ბატალიონის შემადგენლობით. მისი რიცხობრივი შემადგენლობაა 15.593 ჯარისკაცი და ოფიცერი.

მეორეა ქვეითი მექანიზებული დივიზია. მასში შევა ორი ქვეითი ბატალიონი, ექვსი მექანიზებული და ორი სატანკო ბატალიონი. ამ დივიზიაში იქნება 16.119 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ახალი დივიზიების საბრძოლო მომზადება, როგორც ჩანს, დამთავრდება მიმდინარე კალენდარული წლის დამლევს.

# თათბირი ამერიკის პრეზიდენტთან

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისთან, რომელიც პალმ ბიჩში (ფლორიდის შტატი) იმყოფება, გაიმართა მეორე თათბირი სამხედრო საკითხებზე. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, თათბირზე [illegible] „რეკორდულად" მიაჩნიათ, აგრეთვე „ამერიკის შეიარაღებული ძალების გენერალურ სტრატეგიას საზღვარგარეთ 1962 წელს". თათბირში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი, თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჰილპატრიკი და ამერიკის შე- [illegible]

## გაუქმდა საალყო წესები კოლუმბიაში

ბოგოტა, 3 იანვარი. (საკდესი). მშრომელი მასების ზეგავლენით კოლუმბიის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა დეკრეტი საალყო წესების გაუქმების შესახებ მთელ კოლუმბიაში. პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს ნება დაერთოთ მოაწყონ დემონსტრაციები და სხვა ღონისძიებანი, მხოლოდ წინასწარ უნდა აცნობონ ეს ხელისუფლებს.

## ეპიდემია პაკისტანში

კარაჩი, 3 იანვარი. (საკდესი). პაკისტანის პრესის ცნობების თანახმად, ყვავილის ეპიდემია კარაჩიში არ ცხრება. ყოველდღე ყვავილით იღუპება მრავალი ადამიანი. გაზეთი „დოონი" წერს, რომ გასულ თვეში მარტო კარაჩის ეპიდემიურ დაავადებათა ჰოსპიტალში ყვავილით დაიხოცა 155 ადამიანი.

როგორც პაკისტანის პრესის სააგენტო დაკიდან იუწყება, აღმოსავლეთ პაკისტანის ზოგიერთ რაიონში ხოლერის ეპიდემიამ იფეთქა.

## მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 4 იანვარი. (საკდესი). დღეს იაპონიაში აღინიშნა ორი შედარებით ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი. პირველი ბიძგი, რომლის ძალა სამი ბალი იყო, იგრძნობოდა ტოკიოში და გაგრძელდა ერთ წუთს.

მეორე მიწისქვეშა ბიძგი ოთხი ბალის ძალით მოხდა პირველი ბიძგის 20 წუთის შემდეგ.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს იაპონიის მეტეოროლოგიური სამმართველოს დაკვირვებათა ბიუროში, განვლილ, 1961 წელს იაპონიაში აღინიშნა 1.000-ზე მეტი მიწისძვრა, რომელთა ძალა აღწევდა 5 ბალს. ამრიგად, იაპონიაში ყოველ დღე საშუალოდ აღინიშნებოდა სამი მიწისქვეშა ბიძგი.

## „პარლამენტური" კომედია კატანგაში

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). კატანგის ეგრეთწოდებული „პარლამენტის" სხდომა, რომელიც შეიკრიბა გუშინ ელიზაბეტვილში ჩომბე-ადულას კიტონის შეთანხმების შესახებ საკითხის განსახილველად, ულირს ფარსად გადაიქცა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, უკვე შვიდი წუთის შემდეგ სხდომა გადაიდო.

თვითონ ჩომბე სხდომის გახსნას არ დასწრებია, ხოლო როცა საათნახევრის შემდეგ გამოცხადდა, დაინახა, რომ დეპუტატები უკვე დაშლილიყვნენ.

## ახალი რადიოტელესკოპი საფრანგეთში

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთში ნანსში (შერის დეპარტამენტი) მწყობრში ჩადგა პირველი რიგი მსოფლიოში უდიდესი რადიოტელესკოპისა.

# სამარცხვინო გადაწყვეტილება

ბონი, 4 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ფორვერტსი" მწვავედ აკრიტიკებს ბონის საქალაქო საბჭოს სამარცხვინო გადაწყვეტილებას კარლ მარქსის ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ. „ფედერალური დედაქალაქის ბონის ქალაქის ქრისტიანულ-დემოკრატიულმა მამებმა, —ირონიულად აცხადებს გაზეთი, — გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს კომუნიზმს".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება კარლ მარქსის ქუჩის სახელის გადარქმევის შესახებ „შეიძლება დავახასიათოთ მხოლოდ როგორც წვრილშუბლიანი და ანტიისტორიული გადაწყვეტილება, რადგან უდავოა, რომ კარლ მარქსი მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე იყო, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის საზოგადოების განვითარებაზე... გარდა ამისა, ბონს აქვს გარკვეული ადგილობრივი ისტორიული საპატიო მოვალეობა შეინახოს კარლ მარქსის ხსოვნა, რადგან მან ბონში დაიწყო სწავლა და ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქალაქის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეიგნო რა ეს მოვალეობა, რომ ქუჩისათვის კარლ მარქსის სახელი დაებრუნებინათ 1946 წელს, ხმა მისცა ქალაქის ბევრმა დეპუტატმა— ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრმა".



შავი შობა — ასე უწოდეს მას საფრანგეთის მეშახტეთა პატარა ქალაქ დეკაზვილში. აქ არცერთ სახლში, არცერთ ოჯახში არ აუნთიათ საახალწლო ნაძვისხე.

ამიტომ ტირის ფრანგი ბიჭუნა, მამას რომ ეხვევა. მამა და მისი 864 ამხანაგი გაფიცული არიან: 19 დეკემბერს მათ გადაწყვიტეს არ გამოვიდნენ შახტიდან მანამდე, სანამ ადმინისტრაცია არ გააუქმებს ბრძანებას მისი დახურვის შესახებ.

მეშახტეები, რომლებსაც გაზეთ „ფრანს-სუარის" მიერ გამოქვეყნებულ ამ სურათზე ხედავთ, მხოლოდ იმიტომ ამოვიდნენ ზევით, რომ გამოეცხადებინათ თავიანთი ეს გადაწყვეტილება.

გაფიცულებს მხარი დაუჭირა ქალაქის მთელმა მოსახლეობამ. მათ სოლიდარობას უცხადებს საფრანგეთის ყველა მუშა.

# დაქირავებულ მკვლელთა შეგროვება ჩომბესათვის

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). „ცენტრალურ აფრიკაში დაუყოვნებლივ გამგზავრებისათვის საჭირო არიან ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი, სულ ერთია აქვთ თუ არა სპეციალობა. მათ მიეცემათ დიდი ფულადი გასამრჯელო..." — ასეთი განცხადება დაიბეჭდა ამ დღეებში ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში, რომელიც ტულუზაში გამოდის.

იგი მოათავსა ქალაქში მოკალათებულმა სპეციალურმა კონტორამ, რომელიც აგროვებს დაქირავებულ მკვლელებს კონგოელი ხალხის მოღალატე ჩომბესათვის. ეს კონტორა მოთავსებულია სასტუმროს მეშვიდე ნომერში სახელწოდებით „ტერმინიუსი". მას მეთაურობს ვინმე ფილიპი. ჩომბესათვის დაქირავებულთ, რომლებმაც პოლკოვნიკ ჰოლკის სარდლობით უნდა იბრძოლონ კატანგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების წინააღმდეგ, შემგროვებელი უმთავრესად კრებს უცხოეთის ლეგიონის ყოფილ პარაშუტისტთაგან, რომლებიც დახელოვნებული არიან ინდოჩინეთისა და ალჟირის პატრიოტთა სისხლისღვრაში.

„ჩვენთვის საჭირო არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ ჩხუბი, — ეუბნება „ახალწვეულთ" ფილიპი. კატანგა ყველაზე მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში, და თუ მას ჯეროვნად გავფცქვნით, ყველას ექნება თავისი ადგილი მზის ქვეშ". ამ წარმტაცი დაპირებების გარდა ჩომბეს დაქირავებულნი ყოველთვიურად იღებენ 2.190 ახალ ფრანკს.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ფედერაციამ ენერგიული პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ტულუზა გადააქციეს კატანგელი მარიონეტისათვის დაქირავებულთა შესაგროვებელ ცენტრად.

ბერბერები მაროკოს მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. მათ პირველყოფილ-თემური წყობილების ბევრი ნიშანი აქვთ შენარჩუნებული. მაროკოს სამხრეთ ნაწილში, მაღალი ატლასის მთებში მცხოვრები ბერბერები მომთაბარეები და ნახევრად მომთაბარეები არიან. ისინი უმთავრესად მესაქონლეობას მისდევენ. სურათზე: მომთაბარე ბერბერების ბანაკი.



# ლიტერატურა და ხელოვნება

# სიკეთე გაიმარჯვებს...

## გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი დადგმა

**საქართველოს** ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელებს, მათ შორის გრიბოედოვის სახელობის თეატრის მესვეურებსაც, უეჭველია, აგონდებათ თეატრის დირექტორისა და პოეტის საუბარი გოეთეს „ფაუსტის" პროლოგიდან, სადაც დირექტორი სთხოვს პოეტს ისეთი პიესა დაწეროს, რომ ხალხი ბილეთებისათვის გამმაგებული აწყდებოდეს სალაროს. ამიტომ ცდილობენ, ყოველ სეზონში ისეთი პიესა გამონახონ, რომელიც მაყურებელს დააინტერესებს.

ჩვენს გათვითცნობიერებულ, ფაქიზი გემოვნების ხალხს უყვარს თეატრი. ეს მისი ერთ-ერთი სულიერი საზრდოა. მაშ რა არის მიზეზი, რომ ხშირად ზოგიერთი თეატრი ხალხს ისე ვერ იზიდავს? ეს იმიტომ ხდება, რომ თეატრი ჩვენი დიადი ეპოქის მაჯისცემას ჩამორჩება. ხალხს უნდა ეპოქის შესატყვისი, დიდი აზრებისა და გაქანების თეატრი, კომუნიზმის დიადი იდეებით გამსჭვალული, რომანტიკული ალმაფრენის და შემეცნებითი მნიშვნელობისა. და როდესაც მაყურებელი ამის ნაცვლად სცენიდან ისმენს უბრალო ყოფით ამბებს, როდესაც სისხლსავსე ადამიანების ნაცვლად სცენაზე აჩრდილებიეთ დადიან სქემები და მანეკენები, როცა პერსონაჟთა კვნესა ნაძალადევია, მათი სიცილი სიბრალულის ღიმილსა ჰგვრის ხალხს, ნუ დავემდურებით, თუ ასეთ თეატრს ხალხი არ ეტანება. რატომ არის, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუციის გარიჟრაჟის ამსახველი ბ. ლავრენევის „რღვევა" და კ. ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია" დღესაც საბჭოთა კავშირის თეატრების რეპერტუარშია, წლევანდელი სეზონის ბევრი პიესა კი არქივს ჩაბარდა? იმიტომ, რომ ზემოხსენებული პიესები ეპოქის სისწორით ამსახველია. თეატრის მესვეურნი მეტერლინკის „ლურჯი ჩიტის" გმირებივით ეძებენ ახალ-ახალ პიესებს. აი თითქოს მიაგნეს, მიაღწიეს მიზანს, მაგრამ მალე ირკვევა, რომ ლურჯი ჩიტი უბრალო ფრინველის ფერს იღებს და პიესა დაბადებისთანავე განისვენებს. მაგრამ რამდენადაც ძიებაშია ბედნიერება, მისასალმებელია გრიბოედოვის სახელობის თეატრი, რომელიც გაბედულად ეძებს და ხშირად ისეთ პიესას მოჰკიდებს ხელს, რომელიც თეატრების მიერ ჯერ კიდევ არ არის მოსინჯული.

მაგალითად, გრიბოედოვის თეატრის უკანასკნელი პრემიერა კ. ფინის „ბებერი სულელი", სხვა თეატრებში ჯერ არ დადგმულა. არის თუ არა თეატრის არჩევანი მართებული და გადაიქცევა თუ არა კ. ფინის „ბებერი სულელი" ისეთ პიესად, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდება რეპერტუარში? გვგონია, რომ „ბებერი სულელი" ძალიან დიდხანს ვერ შერჩება რეპერტუარს, მაგრამ პიესა რომ ყურადღების ღირსია, უდავოა. მიუხედავად ხარვეზებისა, ამ პიესაში მრავალი ისეთი ჯანსაღი მარცვალია, რომ მას გვერდს ვერ აუხვევ. პიესა თანამედროვეა, ადამიანის მაღალ ზნეობაზე მოგვითხრობს, ჰიმნს უმღერის შრომას და სასტიკად ილაშქრებს უქნარა, მცონარე ადამიანების წინააღმდეგ.

რაც მთავარია, პიესის პერსონაჟები სისხლსავსე ადამიანები არიან, თითქმის ყველას აქვს თავისი განსაკუთრებული ბიოგრაფია. დიალოგები კარგად არის დაწერილი, სავსებით ვლინდება რუსული მუსიკალური ენის სილამაზე. ნაკლია ზოგიერთი სიტუაციის ხელოვნურად შექმნა, დაუჯერებელი ამბები. მაგალითად, ტასიას სატრფოს კოსტიას და ლენას შეხვედრა სადგურზე, კოსტიას თავაშვებული მოქმედება ტერიოხინის ბინაში, დაუსრულებელი მსჯელობა ტასიას შინამოსამსახურედ აყვანის შესახებ, ანა დანილოვნას სცენები და სხვ.

რეჟისორი კ. სურმავა დებიუტანტია გრიბოედოვის თეატრში. მისი პირველი დადგმა მოსაწონია. არაერთხელ აღნიშნულა, რომ მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს, როცა რეჟისორები „ნოვატორობის" იარლიყით „რევიზიას" და „მონტაჟს" უკეთებენ კლასიკოსებს. ამ პიესაში კი საჭირო იყო მონტაჟი, რაც შეუსრულებია რეჟისორს და სპექტაკლი უფრო ემოციური გაუხდია. რეჟისორის ენა, გეგმა და მიზანდასახულობა ვლინდება მიზანსცენებში, და გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ მიზანსცენები ლამაზი და გამართლებულია.

მეტად ორიგინალურად გადაუწყვეტია მხატვარს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ე. დონცოვას პიესის გაფორმება.

სცენა, რომელიც ორი ჰორიზონტალური სიბრტყით არის გადაკვეთილი, ორიგინალურად აკავშირებს ტერიოხინის ბინას მშენებლობასთან. შთაბეჭდილებას აძლიერებს სინათლის კარგად გამოყენება.

პიესის მთავარი გმირის ივანე ტერიოხინის როლი დაკისრებული აქვს რსფსრ დამსახურებულ არტისტს ა. ერმილოვს. მსახიობი უდავოდ დაჯილდოებულია გარდასახვის უნარით, ტემპერამენტით, მოკლებული არ არის სცენურ მომხიბვლელობას. ამიტომ მისი ივანე ტერიოხინი მაყურებელთა ყურადღების ცენტრშია. ტერიოხინის მაღალი მორალი, ადამიანურობა გხიბლავთ. აი ასეთი ადამიანები, როგორც ტერიოხინია, ჩვენი ცხოვრების მშენებლები არიან. ტერიოხინები ქმნიან ბედნიერ ცხოვრებას. მსახიობ ა. ერმილოვის მიერ შექმნილ სახეებში ეს როლი საპატიო ადგილს დაიჭერს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნ. ბურმისტროვას მომხიბლავი სცენური გარეგნობა, გარდასახვის დიდი უნარი, ემოციურობა, სითბო, ბუნებრივობა საშუალებას აძლევს ყოველთვის მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყოს.

უკანასკნელ სცენაში ივანე ტერიოხინთან მსახიობი ისეთი შთამბეჭდავია, რომ მოგვაგონდება სამხატვრო თეატრის იშვიათი სპექტაკლი ა. ჩეხოვის „სამი დის" ფინალი. ამიტომ იყო, რომ ი. ტერიოხინს კიდევ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ დარბაზმა თავი ვერ შეიკავა და ტასიას როლის შემსრულებელი ნ. ბურმისტროვა მხურვალე ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა.

კოსტია ტარბეევის როლი დრამატურგს მეტად მუქი საღებავებით აქვს დაწერილი, ალაგ-ალაგ სიტუაციები გადაჭარბებულიც არის. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ზლობინის წინაშე მეტად მძიმე ამოცანა იყო — დამაჯერებელი გაეხადა ეს პერსონაჟი. მიზანი მიღწეულია. ეს უქნარა, ცხოვრების გზას აცდენილი კაცი, „უძღები შვილი" მზად ხართ მოიშოროთ როგორც მუწუკი ჯანსაღ ორგანიზმზე, მაგრამ თანაც გეცოდებათ და გინდათ, რომ ეს გზააცდენილი ადამიანი ცხოვრების ფერხულში ჩადგეს.

სოფია ანტონოვნას უდავოდ საინტერესო სახეს ქმნის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბელოუსოვა.

ემოციურია ლენას როლის შემსრულებელი მსახიობი ე. ვოინოვა.

ავტორს მეტად მკრთალად აქვს მოხაზული პეტრე ტერიოხინის და ანა დანილოვნას როლები, და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მ. მინეევმა და ვ. ზახაროვამ ვერ შეძლეს სული შთაებერათ ამ უსიცოცხლო პერსონაჟებისათვის.

ყოველთვის გაჭედილი დარბაზის მხურვალე ოვაციები მოწმობს, რომ გრიბოედოვის თეატრის არჩევანი მაყურებელმა მიიღო. ამ მიმართულებით ძიება უნდა გაგრძელდეს. ვინც ეძიებს, ის ჰპოვებს. იმედია დრამატურგები აქტუალური და მხატვრული პიესებით უზრუნველყოფენ თეატრებს და ჩვენი დიადი ეპოქის მაჯისცემას არ ჩამორჩებიან.

**ა. გურთიკაშვილი.**





სურათებზე: ორი სცენა სპექტაკლ „ბებერი სულელიდან". ზემოთ — ტასია (ვ. სიომინა), კოსტია ტარბეევი (ი. ზლობინი); ქვემოთ — ივანე ტერიოხინი (ა. ერმილოვი), ტასია (ნ. ბურმისტროვა).

## 30 წლის ანსამბლი

**აფხაზეთის** ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს 30 წელი შეუსრულდა.

ანსამბლის ისტორია იწყება 1931 წლიდან, როდესაც სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მომღერალთა გუნდი და რომლის ხელმძღვანელად მოიწვიეს სალოტბარო საქმის კარგი მცოდნე პლატონ ფანცულაია. მან ქორეოგრაფებთან მ. კოვესთან და გ. აჩბასთან ერთად მონდომებით მოჰკიდა ხელი აფხაზური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების დამუშავების საქმეს.

ანსამბლის ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ კ. გეგეჭკორი, მ. ჭელიძე, ს. ოჩიგავა და ი. ლაკერბაი. ანსამბლი ხშირად იმყოფებოდა საგასტროლო მოგზაურობაში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და მის მიერ შესრულებული სიმღერები და ცეკვები საყოველთაო მოწონებას იმსახურებდნენ.

1955 წლიდან ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია ახალგაზრდა ლოტბარი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რაჟდენ გუმბა.

**ა. ბიბილეიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

## დოკუმენტური ნოველები საქართველოზე

**წიგნში** სულ ხუთი ნოველა-ნარკვევია: „ჩაუქრობელი ცეცხლი", „მნგრეველნი და შემოქმედნი", „გმირობის წყურვილი", „სულის ქვეყანა" და „ლეგენდა ვაზისა"... ოთხი ნოველა-ნარკვევი შარშან გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა.



თანამედროვე საქართველოს ცხოვრების, ჩვენი სახელოვანი ადამიანების ამსახველი ნოველა-ნარკვევები „დიდი მოურავის" ავტორმა, ცნობილმა რუსმა საბჭოთა მწერალმა ანა ანტონოვსკაიამ თავის ვაჟიშვილთან მწერალ ბორის ჩორნისთან ერთად შექმნა.

საქართველო, ქართველი ხალხის ცხოვრება განუყრელი გახდა ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებისათვის. მან თითქმის ორმოცი წელიწადი მოანდომა „დიდ მოურავზე" მუშაობას... შარშან საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავის ზეიმზე სტუმრად ჩამოსულმა მწერალმა ერთხელ კიდევ მოიარა ჩვენი მიწა-წყალი და პირადად გაეცნო ჩვენს შესანიშნავ ადამიანებს, რომლებიც თავდადებული შრომით ამდიდრებენ სამშობლოს.

აი ამ ადამიანებზე მოგვითხრობს ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ახალი წიგნი.

ახლახან გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე გამოსცა „დოკუმენტური ნოველები საქართველოზე".

წიგნის რედაქტორია ბესარიონ ჟღენტი.

## მღერიან სტუდენტები

ამას წინათ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში წარმოადგინეს პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი".

ტატიანას პარტიას მღეროდა მეხუთე კურსელი სტუდენტი ნელი ზაალიშვილი, ონეგინის პარტიას — მ. დონაძე.

* * *



სურათზე: ნ. ზაალიშვილი (ტატიანა), მ. დონაძე (ონეგინი).

ფოტო გ. გოგოხიასი.

# საუკეთესო ნარკვევები

## კონკურსის შედეგები

**მოსკოვი,** 3 იანვარი. (საქდესი). შეჯამებულია შედეგები ჩვენი დროის გმირის შესახებ საუკეთესო ნარკვევისათვის მიძღვნილი სრულიად საკავშირო კონკურსისა, რომელიც სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო. პირველი პრემია მიეკუთვნა გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ ნ. დენისოვისა და ს. ბორზენკოს ნარკვევს „ციური ძმები".

მეორე პრემიები დაიმსახურეს: ა. სახნინმა — ნარკვევების „სიღრმე" და „უცხო ადამიანები" ავტორმა („იზვესტია"), ე. რიაბჩიკოვმა, რომელმაც დაწერა „იგორ კურჩატოვი — ატომური საუკუნის აკადემიკოსი" („პრავდა"), ა. მამედოვმა, რომლის კალამს ეკუთვნის „მზე ყარა-ყუმში" და „მწყემსები" („სოვეტსკი ტურკმენისტანი").

ჟიურიმ მესამე პრემიები მიაკუთვნა იბრაჰიმ რაჰიმს („კზილ უზბეკისტანი"), ნ. სტროკოვსკის („პრავდა") ვიქტორ სოკოლოვს („ვოსტოჩნო-სიბირსკაია პრავდა"), ჟან გრივას („ცინია"), ლ. მაჩაიძეს („ზარია ვოსტოკა"), ვლ. სტეპანოვს („კომსომოლსკაია პრავდა").

რვა ჟურნალისტმა მიიღო წამახალისებელი პრემია; ერევნელმა ე. ალექსანიანმა, ლენინგრადელმა ე. პოლიაკოვმა, ვილნიუსელმა გ. ზიმანასმა, მოსკოველმა ვ. ტკაჩენკომ, მინსკელმა ვ. კოროლიოვამ, მოსკოველმა პ. კუზნეცოვმა, ვორონეჟელმა ო. კრეტოვამ და მოსკოველმა ი. მაკარენკომ.

სულ კონკურსზე გამოგზავნილი იყო დაახლოებით ათასი ნარკვევი. მათგან ჟურნალისტთა კავშირის გამგეობებმა და ადგილობრივ განყოფილებათა ბიუროებმა წასახალისებლად შეარჩიეს 800 ნაწარმოები.

## „სიყვარულის ძალა"

**ფოთის** სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში წარმოადგინა გრ. ბერძენიშვილის პიესა „სიყვარულის ძალა". სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. ქართველიშვილმა, მხატვრულად გააფორმა გ. მილორავამ.

# ქართული მარგანეცით ტულონისაკენ

**კეთილი** იყოს თქვენი მობრძანება! — ამ სიტყვებით შეეგებნენ ფოთის ნავსადგურის მუშაკები ახალი გემის „აკადემიკოს ბარდინის" ეკიპაჟს. [illegible] 24 000 ტონა [illegible]. ახალი გემი ... [illegible].

ფოთში ეს გემი პირველად მოვიდა პირველი ტვირთის ჭიათურის „შავი ოქროს" — მარგანეცის წასაღებად.

— ეს ჩვენი პირველი რეისია, — განაცხადა გემ „აკადემიკოს ბარდინის" კაპიტანმა ამხ. კორზუნმა, — ქართული მარგანეცით ჩვენ პირველად ვეწვევით საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქ ტულონს. მთელი ეკიპაჟის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ვადამდე, ახალი წლის პირველ დღეებში ჩავიტანოთ მარგანეცი დანიშნულების ადგილზე.

**კ. კომახიძე.**

## გულისხმიერება

**ტყიბული.** (საკ. კორ.). გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" ფურცლებზე ხშირად შევხვდებით ასეთ ქრონიკებს: „ვისია ქალის საათი?", „ვინ დაკარგა ფეხსაცმელი?", „ვეძებთ ფულის პატრონს" და სხვ. ხშირია შემთხვევა, როდესაც რედაქციაში დაკარგული ნივთები მოაქვთ. მაგალითად, რედაქციაში მოვიდა საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილების ერთ-ერთი მაღაზიის გამგე ბ. ქუთათელაძე და ქალის მაჯის საათი მოიტანა.

— ეს საათი მაღაზიაში ვიპოვნე — თქვა ბ. ქუთათელაძემ, — და გთხოვთ დამეხმაროთ მისი პატრონის მოძებნაში.

დაკარგული საათის შესახებ რედაქციამ ცნობა მისცა გაზეთში. მალე რედაქციაში გამოცხადდა გ. მდივანი, რომელსაც რედაქციის თანამშრომლებმა დაკარგული ნივთი ჩააბარეს.

ამას წინათ გაზეთი იუწყებოდა, რომ ლენინის სახელობის შახტის საბინაო განყოფილების დურგალმა დ. კოტრიკაძემ იპოვნა ქალის ახალი, ძვირფასი ფეხსაცმელი და რედაქციაში მიიტანა. რედაქცია სთხოვდა პატრონს მისულიყო დაკარგული ფეხსაცმლის მისაღებად.

ქ. ტყიბულის მცხოვრებმა ელენე შმაკოვამ მადლობა გადაუხადა რედაქციას დახმარებისათვის და მოქალაქე დ. კოტრიკაძეს კეთილშობილური საქციელისათვის.

რაიონული გაზეთის რედაქციის ეს პრაქტიკა მისასალმებელია.



**ქ**უთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში კარგად მუშაობს ქიმიის წრე. აქ მოსწავლეები სკოლაში მიღებულ ცოდნას განამტკიცებენ პრაქტიკულად, ამზადებენ სხვადასხვა სახის სასწავლო ხელსაწყო-იარაღებს.

სურათზე: მერვეკლასელები დ. ხოჯავა და მ. ბებერაშვილი ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ფოტო გ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ჯანმრთელობის ახალი კერები

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქს ემატება ახალი სამკურნალო დაწესებულებები. ახლახან ნინოშვილის ქუჩაზე გაიხსნა კეთილმოწყობილი ქალაქის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, რომელსაც მომსახურებას უწევს ცხრა ექიმი-სტომატოლოგი. პოლიკლინიკას აქვს ქირურგიული, ორთოპედიული და სხვა კაბინეტები. განზრახულია ახლო მომავალში დამატებით გაიხსნას ახალი კაბინეტები.

ამ დღეებში გაიხსნა აგრეთვე თხუთმეტსაწოლიანი საავადმყოფო სოფელ ზოდში. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით და აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით.

# „ვიტიაზის" 34-ე რეისი

☐ წყალქვეშა კუნძული და ვულკანები ოკეანეში ☐ რკინა, მანგანუმი, იშვიათი ლითონები ☐ გიგანტ ზვიგენთა კვალი ☐ მნათი ბაქტერიები

**მოსკოვი,** 4 იანვარი. (საქდესი). ას ოცდახუთმეტ დღე-ღამეს გრძელდებოდა სამეცნიერო-საკვლევი გემის „ვიტიაზის" მორიგი, 34-ე რეისი. გასული წლის აგვისტოდან დეკემბრის დამლევამდე მან გაიარა 19 ათასზე მეტი მილი. ამჯერად კვლევის ძირითადი რაიონი იყო წყნარი ოკეანის ცენტრალურ-ტროპიკული ნაწილი დასავლეთის გრძედის 140 გრადუსსა და აღმოსავლეთის გრძედის 160 გრადუსს შორის.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ვ. გ. კორტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა საქდესის კორესპონდენტს გააცნო ხომალდ „ვიტიაზის" ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებული რეისის შედეგები:

— ამ კომპლექსური ოკეანოლოგიური ექსპედიციის მონაწილე მეცნიერებმა განაგრძეს სამუშაოები, რომლებიც დაიწყო საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პერიოდში წყნარი ოკეანის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილებში. ახლა შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ოკეანოგრაფებმა უკვე გამოიკვლიეს ამ ოკეანის უზარმაზარი აკვატორიუმის დიდი ნაწილი.

ექსპედიცია სწავლობდა ოკეანური ცირკულაციის სტრუქტურას წყნარი ოკეანის ცენტრალურ ტროპიკულ ნაწილში, ფსკერის გეოლოგიურ აგებულებას, ოკეანურ ნალექებს, ოკეანის ბიოლოგიურ სტრუქტურას და სხვა საკითხებს. მიღებულია ახალი ძვირფასი ცნობები ოკეანურ დინებათა შესახებ. ორი-სამი კილომეტრის სიღრმეზე მკვლევარები შეხვდნენ წამში 20—30 სანტიმეტრი სიჩქარის დინებას, მაშინ როცა წინათ მიაჩნდათ, რომ დინების სიჩქარე ასეთ სიღრმეზე არ აღემატება რამდენიმე სანტიმეტრს წამში.

აღმოჩენილია მთელი რიგი დიდი წყალქვეშა ვულკანები, რომელთა სიმაღლე ოთხი და მეტი კილომეტრია. მათ შორის მკვლევარებს შეხვდათ ოკეანის სიღრმეში დაფარული დიდი კუნძული, რომელზეც კარგად არის დაცული მარჯნის ბრაგა.

34-ე რეისის დროს გამოკვლეულია ღრმაწყლისეული ღარი, რომელიც „ვიტიაზის" ექსპედიციამ აღმოაჩინა ჯერ კიდევ 1957 წელს. მისი აგებულება მოწმობს ოკეანის ფსკერის გიგანტურ ჰორიზონტალურ გადანაცვლებას, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია წყლის სიზრქის ქვეშ დედამიწის ქერქში მიმდინარე ტექტონიკური პროცესების უფრო სწორად გაგებისათვის.

წყალქვეშა ნალექების შესწავლის დროს გეოლოგებმა აღმოაჩინეს რკინა-მანგანუმის კონკრეციათა დიდი გროვა — წყალქვეშა მადანი, რომელიც შეიცავს რკინას, მანგანუმსა და ზოგიერთ იშვიათ ლითონს. ოკეანის ფსკერზე ნაპოვნია ზვიგენის უზარმაზარი ზომის კბილები. ეს ამტკიცებს, რომ წყნარ ოკეანეში ოდესღაც ბინადრობდნენ 25-35 მეტრი სიგრძის გიგანტი ზვიგენები.

ექსპედიციის ბიოლოგებმა შეაგროვეს დიდი კოლექციები ცალკეულ სახეობათა ზღვის ორგანიზმებისა, რომლებიც აქამდე არ იყო ნაპოვნი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არის ბიოლოგიის მეცნიერებისათვის სრულიად უცნობი ეგზემპლარები. მიკრობიოლოგებმა აღმოაჩინეს ახალ სახეობათა ძლიერ მნათი ბაქტერიები. ნათების ინტენსივობით ეს მიკროორგანიზმები ჭარბობენ სსრ კავშირის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში არსებული ბაქტერიების ნათებას.

ექსპედიციის მიერ მიღებული მასალების მეცნიერულ დამუშავებას შეუდგებიან სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის ბევრ ინსტიტუტში.

# კომუნისტი სპორტი

# ჭადრაკი 1962 წელს

**მრავალი** საინტერესო შეჯიბრებით იყო „გადატვირთული" 1961 წლის საჭადრაკო კალენდარი, მაგრამ არანაკლებ საინტერესო შეჯიბრებები მოეწყობა ახალ, 1962 წელს. ჭადრაკის გულშემატკივარს „გასაქანი არ ექნება" — ერთ უაღრესად დაძაბულ შეჯიბრებას მეორე მოჰყვება.

უკვე 28 იანვრიდან შვეციაში გაიმართება საზონათაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 23 გროსმაისტერი და ოსტატი მიიღებს მონაწილეობას, მათ რიცხვში 4 საბჭოთა მოჭადრაკე. ამ შეჯიბრებამ მსოფლიოს ჩემპიონობის ექვსი პრეტენდენტი უნდა გამოავლინოს. მათ დაემატება კიდევ ორი გროსმაისტერი: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და პ. კერესი, რომლებსაც პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება პერსონალურად აქვთ მოპოვებული.

თანამედროვეობის რვა ძლიერესი გროსმაისტერის შეჯიბრება დაიწყება 1 მაისს კუნძულ კურასაოზე. ეს იქნება ჭეშმარიტად დიდი ტურნირი, რადგან მასში 28 ტური გათამაშდება, (მეტოქეები ერთმანეთს ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან). ივნისის დასასრულისათვის ჭადრაკის სამყარო გაიგებს იმ გროსმაისტერის სახელს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას შეეცილება მ. ბოტვინიკს 1963 წელს.

ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის გულშემატკივრებს დიდად აინტერესებთ მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ქალთა შორის. 16 სექტემბრიდან მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონმა ე. ბიკოვამ „16-რაუნდიან ბრძოლაში" უნდა მოიგერიოს საქართველოს ახალგაზრდა მოჭადრაკის ნ. გაფრინდაშვილის შეტევა. განსაკუთრებული ინტერესი ამ მატჩისადმი სხვასთან ერთად იმითაც არის განპირობებული, რომ მეტოქეები თამაშის მანერით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ბიკოვას უყვარს თავდაცვა, გაფრინდაშვილი კი ყოველთვის ისწრაფვის ინიციატივისაკენ. ახლა საკითხი ასე დგას: ბიკოვა უფრო დიდი ოსტატია დაცვისა, თუ გაფრინდაშვილი — შეტევისა?! ამ კითხვაზე მომავალმა მატჩმა უნდა გასცეს პასუხი.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებად ითვლება საკავშირო პირველობა. წელს საკავშირო პირველობა ქალთა შორის ორჯერ გაიმართება. პირველი უკვე 10 იანვარს იწყება ერევანში ქართველი ოსტატების ელისო კაკაბაძისა და მანანა ტოგონიძის მონაწილეობით. ეს ტურნირი ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ „აღარ ჩაეტია" კალენდარში. სათანადო შესარჩევი შეჯიბრებების შემდეგ მომდევნო საკავშირო პირველობა ქალთა შორის დაიწყება ტაშკენტში 15 ნოემბერს.

ივლისში ჰელსინკში გაიმართება სტუდენტთა მსოფლიო გუნდური პირველობა, რომელსაც მოჭადრაკეთა წრეებში „მცირე ოლიმპიადას" უწოდებენ. თვით XV საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა ან, როგორც ამას სხვანაირად უწოდებენ, „ერების ტურნირს", მოეწყობა ბულგარეთში სექტემბერ-ოქტომბერში.

საბჭოთა გროსმაისტერები და ოსტატები მონაწილეობას მიიღებენ მრავალ საერთაშორისო ტურნირში. შვეციის მოჭადრაკეთა კავშირმა მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი მიიწვია მონაწილეობა მიიღოს სტოკჰოლმის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ჩვენი მოჭადრაკეები ითამაშებენ ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუმინეთში, უნგრეთში, შვეციაში და სხვა ქვეყნებში.

რამდენიმე საინტერესო საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა სსრ კავშირში. საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი მეოთხედ ატარებს თავის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს მოსკოვში. დევიზით: „ბალტიის ზღვა მშვიდობის ზღვაა!" ტარდება ბალტიისპირეთის ქვეყნების მოჭადრაკეთა მესამე საერთაშორისო ტურნირი.

ბევრი შეჯიბრება მოეწყობა საქართველოში. მესამედ ჩატარდება ტრადიციული საერთაშორისო მატჩი საქართველოსა და რუმინეთის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდებს შორის. მესამედ შედგება აგრეთვე საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის.

საქართველოს პირველობა ვაჟთა შორის თბილისში ჩატარდება 25 თებერვლიდან, ქალთა შორის მახარაძეში — 8 მარტიდან. საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო ტურნირში (მოსკოვი, იანვარი). სტუდენტთა და მუშა-ახალგაზრდობის საკავშირო ტურნირში (მოსკოვი. იანვარი-თებერვალი), საკავშირო მასობრივი შეჯიბრების ფინალში (ვლადიმირი, მარტი), ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში (ლენინგრადი, ივლისი), მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში (მოსკოვი, ივლისი) და სხვ.

სეზონის უკანასკნელი თვალსაჩინო ტურნირი საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეების მონაწილეობით იქნება ტრადიციული შეჯიბრება ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში. ხოლო საქართველოში „კალენდარის ხურავს" რესპუბლიკის გუნდური პირველობის (სპარტაკიადის პროგრამით) ზონალური შეჯიბრებები.

აჰა, ახალი, უაღრესად საინტერესო საჭადრაკო სეზონი.

**გ. გამრეკელი.**

## მ. ბოტვინიკმა პირველობა მოიპოვა

**გუშინ** დილით ჰასტინგსში მოეწყო საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა წარმატებით ჩაატარა ავსტრიელ კ. რობაჩთან გადადებული პარტიის დასკვნითი ნაწილი და მორიგი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

საღამოს შედგა ტურნირის უკანასკნელის წინა მერვე ტური. მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთან ა. ბისგაიერთან. მ. ბოტვინიკმა ეს პარტიაც მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩაატარა და დაამარცხა მეტოქე.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ მ. ბოტვინიკს 7,5 ქულით პირველი ადგილი უკვე უზრუნველყოფილი აქვს.

## ტურნირი არ ჩაიშლება

**სტოკჰოლმი,** 3 იანვარი. (საქდესი). მსოფლიოს 23 მოჭადრაკის — ზონალური შეჯიბრებების გამარჯვებულთა საზონათაშორისო ტურნირი დაიწყება აქ 28 იანვარს.

ეს შეჯიბრება ამსტერდამში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჰოლანდიის ხელისუფლებმა ნატოს სამებლად ვიზა არ მისცეს ერთ-ერთ მონაწილეს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეს, საერთაშორისო გროსმაისტერ ვ. ულმანს. მაგრამ ამ დისკრიმინაციულ მოქმედებას მხარი არ დაუჭირეს. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა არ გამართოს საზონათაშორისო ტურნირი ჰოლანდიაში და მოაწყოს იგი გათვალისწინებულ ვადაში შვეციაში.

## პელეს სამი გოლი

**დამთავრდა** ბრაზილიის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში მონაწილეობა მიიღეს სან-პაულოსა და ბაიას შტატების საკლუბო გუნდებმა „სანტოსმა" და „ბაიამ". ფეხბურთელთა ამ უძლიერესი კოლექტივების პირველ ბრძოლას გამარჯვებული არ გამოუვლენია, მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. განმეორებით შეჯიბრებაში „სანტოსის" უპირატესობა აშკარა იყო. მიუხედავად გაძლიერებული დაცვისა, პელემ სამი გოლი გაიტანა ზედიზედ. შეხვედრა მოიგო „სანტოსმა" ანგარიშით 5:1. ბრაზილიის ეს გუნდი მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

## საქდესის გასწორება

გაზეთების „კომუნისტისა" და „თბილისის" 1962 წლის 4 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებულ ბრძანებულებაში ავტომოტოტრანსპორტისა და ქალაქის ელექტროტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ქვესათაური უნდა იკითხებოდეს: „არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლის პასუხისმგებლობის შესახებ".

ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მეხუთე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის..." შემდეგ როგორც ტექსტშია. მეორე მუხლის მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „განმეორდა არაფხიზელ მდგომარეობაში აღნიშნული..." შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი **დ. მჟედლიშვილი.**

**5 იანვარი**

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დაუპატიჟებელი სტუმრები (დღისით), ლაურენსია (საღამოს, მე-17 აბონ. მე-4 წარ.), **რუსთაველის სახელობის** — ფიროსმანი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩრდილოეთის მადონა (დღისით და საღამოს).

**ტელევიზია:** 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „აბა, გამოიცანით?", 18.20 — უფროსკლასელთათვის — „საესტრადო კონცერტი", 18.50 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა — „თეატრალურ ინსტიტუტში", 19.40 — გადაცემა ციკლიდან „სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ" — „ერთი პროცენტის მასშტაბი", 19.55 — გადაცემა — „სტუმრად ქარხნის პოეტებთან", 20.25 — კინოჟურნალი, 20.35 — გადაცემა — „ღვაწლმოსილი მუსიკოსი" — გოლდენვეიზერი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 3-40-21, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 1-64-42.

უე 00905 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.